გიორგი ომსარაშვილი

ისლამიზმი და ჯიჰადიზმი კავკასიაში: კომპლექსური მიდგომა რადიკალური მოძრაობების ანალიზისათვის

რადიკალური ისლამისტური მოძრაობები თანამედროვე კავკასიის რეგიონში რთულ და მრავლშრიან მოვლენას წარმოადგენენ, რაც რელიგიური რადიკალიზმის ტრადიციულ გაგებას სცდება. აღნიშნული მოძრაოების წარმოქმნა დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, იდენტობის ტრანსფორმაციასთან, სახელმწიფოებრიობის კრიზისთან და ალტერნატივის ძიებასთან. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში ისლამიზმისა და ჯიჰადიზმის მკვლევართა უმრავლესობა ძირითადად სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას. ამ დრომდე არ მომხდარა ერთიანი უნივერსალური თეორიული მიდგომის შემუშავება, რომელიც სრულად მოიცავს აღნიშნულ მოძრაობებს.

წინამდებარე ნაშრომში კავკასიის რეგიონში ისლამიზმისა და ჯიჰადიზმის საფუძვლიანი შესწავლისათვის კომპლექსური თეორიული ჩარჩოს ფორმირებაა განხილული, რაც მოიცავს ცივილიზაციათა შეჯახების თეორიის, სოციალური კონსტრუქტივიზმის, სოციალურ მოძრაობათა თეორიის და ტრანსნაციონალიზმის კომბინირებას. აღნიშნული თეორიების ერთობლივად გამოყენება შესაძლებელს ხდის, საფძუვლიანად მოხდეს კავკასიური რადიკალური მოძრაობების როგორც შიდა (იდენტობის, პროტესტის, მობილიზაციის), ისე გარე (გლობალური ჯიჰადისტური ქსელი, საერთაშორისო კონფლიქტები, სოციალური და პოლიტიკური კრიზისები) დეტერმინანტების შესწავლა და გაანალიზება.

ს. ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების თეორიის (Huntington, 1996) მიხედვით, ცივი ომის დასრულების შემდეგ გლობალურ კონფლიქტებს უფრო მეტად განსაზღვრავს კულტურულ-ცივილიზაციური და არა იდეოლოგიური და ეკონომიკური მახასიათებლები. ავტორის აზრით, ისლამური და დასავლური ცივილიზაციების კონფრონტაცია განპირობებულია შეუთავსებელი ღირებულებათა სისტემით და ისტორიული ტრავმებით. ს. ჰანტინგტონის ნაშრომში ცენტრალური ადგილი უკავია ე.წ. „ბზარების ხაზების"/fault lines კონცეფციას, რომელებზეც სხვადასხვა ტერიტორიებისა და განსხვავებული კულტურების საზღვრები გადის, სადაც იკვეთებიან ცივილიზაციები. აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში ავტორი კავკასიის რეგიონსაც განიხილავს (Huntington, 1996: 255). კავკასია აერთიანებს განსხვავებულ რელიგიებს, კულტურებსა და ეთნოსებს, რომლებსაც საერთო რეგიონალურ მახაიათებლებთან ერთად ინდივიდუალური და უნიკალური მარკერები გააჩნია. რეგიონი ისტორიულად წარმოადგენდა როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა გაცვლის, ისე ერთმანეთთან დაპირისპირების ადგილს. კავკასიაში საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ რუსეთი, ოსმალეთი და ირანი, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რეგიონის ხალხების ისტორიულ მეხ-

სიერაბაზე. ჩრდილოეთ კავკასიაში XVIII-XIX საუკუნებში იყო მცდელობა ისლამის გამოყენებით, უცხო ცივილიზაციურ მატრიცასთან - რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებისათვის, სამხედრო-პოლიტიკური და სამობილიზაციო მიზნებით მომხდარიყო ისლამის პოლიტიზება და „ღაზავათის“ (რელიგიური ბრძოლა) წარმოება. ს. ჰანტინგტონი ე.წ. „ბზარების ხაზთან“ წარმოებული ომების შესახებ საუბრისას ერთ-ერთ მაგალითად სწორედ ჩეჩნეთ-რუსეთის (1994-1996) ომს განიხილავს. ამასთანავე ხასზს უსვამს, რომ ე.წ. „ბზარების ხაზთან“ წარმოებული ომები თითქმის ყოველთვის განსხვავებული რელიგიის ხალხებს შორის მიმდინარეობს. ს. ჰანტინგტონი კავკასიის ომსა (1763-1864) და რუსეთ-ჩეჩნეთის ომს შორის პარალელებს ხედავს(Huntington, 1996: 268). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში ისლამის პოლიტიზირების ახალი ფორმები გამოჩნდა, რომლებმაც ჩაანაცვლა სეპარატისტული მოძრაობების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ჯიჰადისტური ნარატივით. ს. ჰანტინგტონის თეორია ასევე ეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ისლამიზმის დომინაციას, რომელიც ცვლის პოლიტიკურ მიზნებს, მაგ. ჩეჩნეთის ეროვნული რესპუბლიკიდან ერთიან კავკასიურ ისლამურ სახელმწიფომდე ან გლობალურ ისლამურ სახალიფომდე. მისი აზრით სუვერენული ეროვნული სახელმწიფოს იდეა შეუთავსებელია ისლამის საფუძვლებისათვის, ისლამური ფუნდამენტალიზმი უაყოფს ეროვნულ-სახელმწიფოს ისლამური ერთიანობის სასარგებლოდ, ისევე როგორც მარქსიზმი უარყოფდა მას საერთაშორისო პროლეტარიატის სასარგებლოდ(Huntington, 1996: 175).

ს. ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების თეორიას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, რომელიც მას სამყაროს დაყოფაში, იმპერიალიზმის გამართლების (Said: 2001) კონფლიქტებში, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების უგულებელყოფის, იდენტობის საკითხზე ზედაპირულ მსჯელობის (Sen: 2006), ცივილიზაციათა შორის გარდაუვალ დაპირისპირების არარეალურ პროგნოზირების გამო და ა.შ. აკრიტიკებენ. აღნიშნულის მიუხედავად, ს. ჰანტინგტონის თეორია აქტუალობას ინარჩუნებს, რადგან კვლავ ვაწყდებით ისლამურ და დასავლურ ცივილიზაციებს შორის წარმოქმნილ ბზარის ხელოვნურ და ბუნებრივ გაფართოებას. კავკასიასთან მიმართებით, აღნიშნული თეორია გვეხმარება გავაანალიზოთ, რატომ არ შემოიფარგლება ისლამიზმი მხოლოდ რელიგიური საკითხებით და ტრანსფორმირდება თავსმოხვეულ ცივილიზაციურ პარადიგმად. აღნიშნული ნათლად ჩანს კავკასიელი ისლამიზმის იდეოლოგიურ დისკურსში (Yandarbiev, 2000; Udugov, 2022). მიუხედავად იმისა, რომ ცივილზაციათა შეჯახების თეორიის მეშვეობით შესაძლებელია კავკასიის რეგიონში პოლიტიკური, და რელიგიურ-კულტული პროცესების ანალიზი, ს. ჰანტინგტონის თეორია კონფლიქტის წარმოქმნისა და რადიკალური იდეოლოგიების გავრცელების მიზეზებს გარკვეულწილად ამარტივებს და ძირითადად კულტურულ-ცივილიზაციურ პრიზმაში განიხილავს.

კავკასიური რადიკალური მოძრაობების სრულფასოვანი შესწავლისათვის მართებულიაისლამიზმი სოციალური კონსტრუქტივიზმის მიდ-

გომისმეშვეობითაცგავაანალიზოთ,როგორცკონსტრუირებულიიდენტობის საფუძველი. ალექსანდრ უენდტის ნაშრომის საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების გაგება შეუძლებელია სოციალური და კულტურული ფაქტორების, იდენტობის, ნორმებისა და აღქმების გარეშე, რომლებიც ფორმირდებიან სოციალურ ურთიერთქმედებასა და პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში (Wendt, 1999). კავკასიელი ისლამისტებისათვის იდენტობა პოლიტიკური ბრძოლის ირაღია და დაკავშირებულია: ისტორიულ მეხსირებასთან, რაც მოიცავს რუსეთ-კავკასიისომს(1763-1864),იძულებითგადასახლებებს,ეთნოწმენდას, გენოციდს; ასევე რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ მობილიზაციასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელთან ერთად რელიგიური ბრძოლის წარმოებას;პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ იძულებით ასიმილაციასთან.პოსტსაბჭოთაკავკასიაში ისლამიზმი წარმოადგენს არა ტრადიციებთან დაბრუნების მცდელობას, არამედ ტრანსფორმაციისა და რელიგიის პოლიტიზების მცდელობას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის რეგიონში შექმნილი კრიზისების ფონზე, როდესაც არ არსებობდა განსაზღვრული განვითარების ვექტორი, გარკვეული ჯგუფებისათვის რელიგია ახალი იდენტობის მთვარი წყარო გახდა. აღნიშნულ შემთხვევაში ახალი იდენტობა არ ეფუძნებოდა რეგიონისათვის ტრადიციულ ისლამურ მიმდინარეობებს, ე.წ. ტრადიციულ ისლამს, რომელიც ადგილობრივ ტრადიციულ კულტურასთან იყო და არის შერწყმული, არამედ რეგიონისათვის უცხო ფუნდამენტალიზმს - სალაფიზმს და რადიკალურ ისლამიზმს - ჯიჰადიზმს. ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამიზმის რუსი მკვლევარი იგორ დობაევი აღნიშნავს, რომ რადიკალური ისლამიზმი, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ პოლიტიკურ ფენომენსა და იდეოლოგიურ დოქტრინას წარმოადგენს, რომელსაც ეფუძნება სპეციფიკური პოლიტიკური პრაქტიკა. რადიკალური ისლამიზმის იდეოლოგიურ დოქტრინაში გამოყენებულია ორი ძირითადი კონსტრუქტი – ტაქფირი (მტრად აღიარებულების ურწმუნოებად გამოცხადება) და ჯიჰადი (რელიგიური ომი), რაც გულისხმობს „მტრებთან“ ბრძოლას ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ტერორისტული მეთოდების გამოყენებით (Dobaev, 2015: 121). სოციალური კონსტრუქტივიზმი შესაძლებლობას გვაძლევს პოსტსაბჭოურ კავკასიში ისლამიზმი განვიხილოთ პოლიტიკურ ნარატივად, რომელშიც რელიგია ახალი იდენტობების ფორმირების, მობილიზაციის, საპროტესტო მოძრაობებისა და წარსულის გადახედვის ინსტურმენტად იქცა.

სოციალურ კონსტრუქტივიზმთან ერთად ეფექტური კვლევისა და ანალიზისთვის ასევე მართებულია სოციალური მოძრაობების თეორიის გამოყენებაც, რომელიც ისლამიზმის, როგორც წინააღმდეგობრივი, იდეოლოგიური და ქსელური პოლიტიკური მოქმედების ანალიზისათვის ეფექტურ ინსტრუმენტებს გვაძლევს ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების: პოლიტიკური შესაძლებლობების (Tarrow, 1998), სამობილიზაციო რესურსებისა და იდეოლოგიური ნარატივების (Snow & Benford, 1988) მეშვეობით.სოციალური კონსტრუქტივიზმის გამოყენებით ისლამიზმის ანალიზი შემოგვთავაზა ისლამისტური მოძრაობების მკვლევარმა კვენტინ

ვიქტროვიჩმა. მან ისლამიზმი მობილიზაციის ფორმად განიხილა, რომელიც ეფუძნება ნარატივების, სტრუქტურებისა და ტაქტიკების ფორმირებას (Wiktorowicz, 2004). ირანო-ამერიკელი სოციოლოგი ასეფ ბაითი მიიჩნევს, რომ ისლამიზმი, ნატივისტური მოძრაობაა, რომელიც წარმოიშვა როგორც თვითგამოხატვის შესაძლებლობა იმ ადამიანების მობილიზებისთვის, რომლებიც საზოგადოებებში არსებულ დომინანტურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან კულტურულ პროცესებში თავს მარგინალიზებულად გრძნობდნენ (Bayat, 2007: 7).

პოლიტიკური ისლამი/ისლამიზმი კავკასიაში თავად წარმოადგენს რეპრესიულ გარემოში, მარგინალიზაციაზე, პოლიტიკური წარმომადგენლობის არქონასა და უთანასწორობაზე აგრესიულ რეაქციის მქონე სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობას. მისი მიზანია რელიგიურ საფუძველზე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტების გარდაქმნა, შემდგომში ისლამური სახელმწიფოს შექმნის მიზნით. ისლამიზმი ასევე პოლიტიკური ბრძოლის იდეოლოგიაა, რომელიც განსხვავებულ კონტექსტში მიმდევრებს ზომიერი ან რადიკალური (ჯიჰადისტური) მოქმედებების ფორმებს სთავაზობს. ადგილობრივი ჯიჰადისტები ცდილობენ საკუთარი ბრძოლა გლობალური შეიარაღებული რელიგიურ-პოლიტიკური ბრძოლის (გლობალური ჯიჰადის) მნიშვნელოვან ლოკალურ ნაწილად წარმოაჩინონ.

სოციალური მოძრაობების თეორია ასევე გვეხმარება შევისწავლოოთ, როგორ ახდენენ კავკასიური ჯიჰადისტური ჯგუფები ნარატივების, ქსელების და ე.წ. წინააღმდეგობის რიტუალების ფორმირებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია მობილიზაციის ციფრულ განზომილებაში მიმდინარე პროცესის გასაანალიზებლად.

კავკასიური ჯიჰადისტური მოძრაობების ერთ-ერთი განსაკუთრებული მახასიათებელია მისი ტრანსნაციონალური ბუნება. რუსი აღმოსავლეთმცოდნე, ალექსეი მალაშენკო ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამიზმის გააქტიურების შიდა და გარე ფაქტორების სიმბიზოზე საუბრობს და ისლამიზმის ტრანსნაციონალურბუნებაზე მიუთითებს, რომელიც მარტივად აღწევს სახელმწიფო საზღვრებში (Malashenko, 2007: 144). ჩეჩნეთის პირველი ომის პერიოდიდან (1994-1996 წწ.) კავკასიური რადიკალური მოძრაობების ფორმირებაში აქტიურად იყვნენ ჩართული უცხოელი ჯიჰადისტი მებრძოლები საბჭოთა კავშირი-ავღანეთის ომის (1979-1989 წწ.) ვეტერანი ჯიჰადისტები, რაც უზრუნველყოფდა ადგილობრივების კავშირს გლობალურ ქსელებთან. 2011 წელს კავკასიური დაჯგუფებების აქტიურმა ჩართულობამ სირიაში დაწყებულ სამოქალაქო ომში, ტრადიციულ საზღვრებს გარეთ მისი კვლევის აუცილებლობა განაპირობა. კავკასიელმა ჯიჰადისტებმა სირიის ტერიტორიაზე ჩამოყალიებეს ჯგუფები: კავკასიის საამირო სირიაში, ჯაიშ მუჰაჯირინ ვალ-ანსარი, ჯუნუდ აშ-შამი, აჯნად-ალ კავკაზი და გაწევრიანდნენ გლობალურ ტერორისტულ ორგანიზაციაისლამურ სახელმწიფოში.

ტრანსნაციონალიზმი შესაძლებლობას გვაძლევს ისლამიზმი, მისი რადიკალური ფორმებით, შევისწავლოთ, როგორც ფენომენი, რომელიც პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და ციფრულ სივრ-

ცეებში მოძრაობს. აღნიშნული მიდგომა შეისწავლის ადამიანთა ნაკადებს, იდეოლოგიებს, ფინანსებს, ტექნოლოგიებს, რომლებიც კვეთენ და მოძრაობენ სახელმწიფო საზღვრების მიღმა და აყალიბებენ ტრანსნაციონალურ ერთობებსა და კავშირებს.

თომას ჰეგჰამერმა კავკასიურ კონტექსტში ტრანსნაციონალური ჯიჰადისტური ქსელის გამოჩენის პირველი შემთხვევები შეისწავა, გაანალიზა როგორ იყენებდნენ ავღანეთის ომის ვეტერანი ჯიჰადისტები საკუთარ საბრძოლო გამოცდილებს ჩეჩნეთის ომში (Hegghammer, 2010: 55-56). ასევე გაანალიზა ისლამურ სამყაროში ტრანსნაციონალური ჯიჰადიზმის ფენომენი და ყურადღება გაამახვილა ისლამურ სამყაროში მიმდინარე კონფლიქტებზე (1945-2010 წწ.), უცხოელი მებრძოლების გლობალური და მასშტაბური მობილიზაციის წინაპირობებზე, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იდეოლოგია, რომელიც უზუნველყოფს სოლიდარობას წარმოსახვით ტრანსნაციონალურ საზოგადოებაში და ტრასნაციონალური აქტივიზმის გამორჩეულ წარმომადგენლებზე, რომელთა ფორმირებასაც ზღუდავენ სახელმწიფოები. ავტორის პროგნოზი გამართლდა ინტერნეტის მზარდი მნიშვნელობის შესახებ, რისი მეშვეობითაც რადიკალები ფართო მასებში შეძლებდნენ პროპაგანდის გავრცელებას (Hegghammer, 2010: 90-91), რამაც სირიასა და ერაყში მხოლოდ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს რიგებში, 2014 წლის ივნისიდან 2015 წლის დეკემბრამდე პერიოდში,100 ქვეყნის 30 000 უცხოელი მებრძოლის გაწევრიანება უზრუნველყო (Schmid & Tinnes, 2015: 3). 2012-2017 წლებში, სირიასა და ერაყში ჯიჰადისტების რიგებში 3000-5000 ჩრდილოეთ კავკასიელი (Ratelle, 2018: 117-137)), 900 აზერბაიჯანის (Meydan TV, 2017) და 100-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე გაწევრიანდა (Coffey, 2015).

ტრანსნაციონალიზმი იკვეთება არამხოლოდ გეოგრაფიულ სივრცეში აღნიშნული ჯგუფების მოძრაობებით, არამედ იდეოლოგიურ ზეგავლენაშიც, როდესაც ჯიჰადისტური ჯგუფები სირიაში პირდაპირ ახდენენ კავკასიის რეგიონში რადიკალურ ისლამისტურ ნარატივისა და მოქმედებების ფორმირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსნაციონალური მიდგომა ავსებს სოციალური კონსტრუქტივიზმისა და სოციალური მოძრაობების თეორიას, შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ, როგორ გახდა კავკასიური ჯიჰადიზმი გლობალური ისლამისტური ქსელის ნაწილი, როგორ იყენებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო არხების რესურსს იდეოლოგიური და შეიარაღებული ბრძოლისათვის.

ტრანსანციონალური ჯიჰადიზმის თანამედროვე ფორმების შესწავლა შეუძლებელია ციფრული განზომილების გარეშე. კავკასიელი ჯი-ჰადისტები პროპაგანდის გასავრცელებლად აქტიურად იყენებენ სოციალურ პლატფორმებს, განსაკუთრებით Facebook-ს, Telegram-ს, სპეციალიზებულ ინტერნეტ ფორუმებსა და შესაბამის ონლაინ დაცვის საშუალებებს, როგორიცაა, VPN-ები, ციფრული კვალის დასაფარად. ციფრული სამყარო გახდა რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების, ახალი მხარდამჭერების მობილიზაციისა და გადაბირების სივრცე. ბოლო წლებში ხელოვნური ინტელექტის მზარდი შესაძლებლობების ფონზე

მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი გამოყენების არეალი, რაც შესაძლოა ჯიჰადისტურმა ჯგუფებმა პროპაგანდისტული მასალის ავტომატიზებული შექმნის, სოციალური ქსელების ალგორითმებზე ზემოქმედებისა და ანონიმური ქმედებების ოპტიმიზაციის მიზნით გამოიყენონ. ამ კონტექსტში, ციფრული ეთნოგრაფია (Murthy, 2008; Pink et al., 2016) წარმოადგენს კვლევისათვის მნიშვნელოვან მეთოდურ ინსტრუმენტს, რომელიც იძლევა საშუალებას შევისწავლოთ ტრანსნაციონალური რადიკალური ქსელების ონლაინ აქტივობა, დისკურსი, ტექნოლოგიური ადაპტაცია და სამიზნე აუდიტორიებთან კომუნიკაციის ფორმები.

ამრიგად, განხილული თეორიები ინდივიდუალურად გვთავაზობენ შესაძლებლობას კავკასიაში ჯიჰადიზმის ანალიზისათვის, მაგრამ ცალცალკე არცერთ მათგანს არ შეუძლია კავკასიური რადიკალური მოძრაობების ჩამოყალიბებისა და განვითარების რთული დინამიკის ახსნა. ცივილიზაციათა შეჯახების თეორიის, სოციალური კონსტრუქტივიზმის, სოციალურ მოძრაობათა და ტრანსნაციონალიზმის თეორიების ერთობლივად გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს, საკვლევი პრობლემა კომპლექსურად და სიღმისეულად გავაანალიზოთ. აღნიშნული თეორიების სინთეზი თავიდან აგვარიდებს მეთოდოლოგიურ რედუქციონიზმს, მოგვცემს საშუალებას ერთდროულად გავითვალისწინოთ, როგორც რადიკალიზაციის ლოკალური და გლობალური დეტერმინანტები, ისე კავკასიური ჯიჰადიზმის იდეოლოგიური და ქსელური შემადგენელი. კავკასიის რეგიონში რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ისტორიულ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ხაზების გადაკვეთის ფონზე ინტერდისციპლინური და კომპლექსური მიდგომა არა მხოლოდ გამართლებული, არამედ გარდაუვალიცაა. მსგავსი მიდგომა შესაძლებელს ხდის, რეგიონში რადიკალური მოძრაობების არამარტო წარმოშობისა და ტრანსფორმაციის მიზეზები, არამედ მათი მდგრადობისა და გავრცელების მექანიზმებიცშ ევისწავლოთ. დასმული საკითხის სიღმისეული კვლევისა და ემპირიულად დასაბუთებული ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია ციფრული ეთნოგრაფიის მეთოდის ინტეგრაცია, რომელიც ტრანსნაციონალური რადიკალური ქსელების ონლაინ აქტივობისა და დისკურსის შესწავლის საშუალებას იძლევა. საერთაშორისო დაძაბულობისა და ტრანსნაციონალური რადიკალური იდეოლოგიების გავლენის ზრდის ფონზე, მსგავსი ერთიანი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს არამარტო სამეცნიერო კვლევებისთვის, არამედ ექსტრემისტული იდეოლოგიის პრევენციისაკენ მიმართული სტრატეგიების შემუშავებისთვისაც.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Bayat, A. (2007). M*aking Islam democratic: Social movements and the post-Islamist turn.* Stanford University Press.

Coffey, L. (2015, May 14). *Recruiting Georgia in the fight against ISIL.* Al Jazeera. https://www.aljazeera.com/opinions/2015/5/14/recruiting-georgia-in-the-fight-against-isil.

Dobaev, I. P. (2015). Ideologicheskiekonstruktyradikal'nogoislamizma. Gumanitarii Yuga Rossii, (1).

Hegghammer, Thomas. (2010). The Rise of Muslim Foreign Fighters: Islam and the Globalization of Jihad. International Security, 35(3).

Hegghammer, T. (2010). Jihad in Saudi Arabia: Violence and Pan-Islamism since 1979. Cambridge University Press.

Huntington, S. P. (1996). The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. Simon & Schuster.

Malashenko, A. V. (2007). Islam dlyaRossii [Islam for Russia]. Moskva: Rossiiskayapoliticheskayaentsiklopediya (ROSSPEN); MoskovskiiTsentrKarnegi.

Meydan TV. (2017, March 7).State Security Officer: More than 900 Azerbaijanis in the ranks of ISIS. Meydan TV. https://www.meydan.tv/en/article/state-security-officer-more-than-900-azerbaijanis-in-the-ranks-of-isis/

Murthy, D. (2008). Digital ethnography: An examination of the use of new technologies for social research. Sociology. 42(5), 837–855. https://doi.org/10.1177/0038038508094565

Ratelle, J. F. (2018). North Caucasian foreign fighters in Syria and Iraq: Assessing the threat of returnees to the Russian Federation. In Networked Insurgencies and Foreign Fighters in Eurasia (1st ed.). Routledge.

Schmid, A. P., & Tinnes, J. (2015, December). Foreign (terrorist) fighters with IS: A European perspective (ICCT Research Paper). International Centre for Counter-Terrorism. https://www.icct.nl/app/uploads/2015/12/ICCT-Schmid-Foreign-Terrorist-Fighters-With-IS-A-European-Perspective-December2015.pdf

Snow, D. A., &Benford, R. D. (1988). Ideology, Frame Resonance, and Participant Mobilization. International Social Movement Research, 1, 197–217.

Tarrow, S. (1998). Power in Movement: Social Movements and Contentious Politics. (2nd ed.). Cambridge University Press.

Wendt, A. (1999). Social Theory of International Politics. Cambridge University Press.

Wiktorowicz, Q. (2004). Islamic Activism: A Social Movement Theory Approach. Indiana University Press.

Udugov, M. (2022, November 22). Shariat v ramkakhdemokratii, legitimnost' igosudarstvodvukhuschelij. Chast' 1, Chast' 2 [Sharia within the framework of democracy, legitimacy and the state of two gorges. Part 1, Part 2]. Kavkaz Center. https://www.kavkazcenter.com/russ/content/2022/11/22/121157/movladi-udugov-shariat-v-ramkakh-demokratii-legitimnost-i-gosudarstvo-dvukh-uschelij--chast1-chast2.shtml

Yandarbiev, Z. A. (2000). Dzhikhadiproblemysovremennogomira [Jihad and the Problems of the Modern World]. Self-published.

Giorgi Omsarashvili

ISLAMISM AND JIHADISM IN THE CAUCASUS: A COMPREHENSIVE APPROACH TO THE ANALYSIS OF RADICAL MOVEMENTS

Abstract

The article aims to analyze Islamic jihadism in the Caucasus region, within the framework of which it forms an interdisciplinary theoretical framework. The latter combines four theories: the clash of civilizations, social constructivism, social movements and transnationalism. The work reflects an attempt to free itself from narrow disciplinary frameworks by applying these concepts in a new way and through a complex discussion. It shows that Caucasian jihadism is not one-dimensional and, in addition to a resistance movement, is a form of civilizational protest, a component of a global network and the result of identity transformation. The complex analysis also includes the method of digital ethnography, which is used to study the online activity, communication and mobilization of transnational radical groups.

Keywords: Islamism, jihadism, Caucasus, digital ethnography.